

რუსეთ-ირანის ურთიერთობები და სამხრეთი კავკასია

ლევან ასათიანი

2021

მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის-სპარსეთის დაპირისპირებას სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე სამხედრო კონფლიქტი და ომი (1796, 1803-1813, 1826-1828 წწ.) მოჰყვა. ამ ომებში დასუსტებული ყაჯართა დინასტიის სამეფო საბოლოოდ დამარცხდა და იძულებული გახდა, თურქმენჩაის (1828 წ.) ზავის საფუძველზე, კასპიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის ნაწილი (მდ. არაქსის (არეზი) სამხრეთით) რუსეთის იმპერიისათვის დაეთმო. *აღმოსავლეთ საქართველოს ბედი ამ დროს უკვე გადაწყვეტილი იყო - იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიამ შეიერთა.*

ბრიტანეთის და რუსეთის იმპერიებს შორის მე-19-მე-20 საუკუნეებში ცენტრალურ აზიაში გეოპოლიტიკური დაპირისპირებების შედეგად, რაც ისტორიაში „დიდი თამაშის“ სახელითაა ცნობილი, იმ დროისათვის სპარსეთი ამ ორმა იმპერიამ, ფაქტობრივად, გავლენის ზონებად გაინაწილა. ბრიტანეთს ერგო ქვეყნის სამხრეთი და სპარსეთის ყურის მიმდებარე პროვინციები, რუსეთი კი კასპიისპირეთსა (გილანის პროვინცია) და „აღმოსავლეთ აზერბაიჯანს“ (ისტორიული ადარბადაგანი) აკონტროლებდა.

მიხეილ ჯავახიშვილის მშვენიერ მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“ კარგად არის აღწერილი იმდროინდელი სპარსეთში შავრაზმული რუსული პოლიტიკა.

მეფის რუსეთში 1917 წელს მომხდარი ოქტომბრის გადატრიალების შედეგად, ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა რევოლუციის ექსპორტის პოლიტიკის გატარება სპარსეთშიც მოინდომეს და ქვეყნის ჩრდილოეთით, კასპიისპირა პროვინციებში მიმდინარე სეპარატისტულ მოძრაობას სამხედრო დახმარება გაუწიეს. შედეგად, სპარსეთის ტერიტორიაზე შეიქმნა „გილანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, რომელმაც ორიოდე წელი (1920-1921) იარსება.

კასპიისპირა რეგიონში ქვეყნებს შორის შექმნილი დაძაბული ურთიერთობები „კომპრომისული“ შეთანხმებით მოგვარდა. ბოლშევიკებმა დათმეს მეფის რუსეთის მიერ სპარსეთისათვის თავსმოხვეული რამდენიმე კონცესია. შედეგად, 1921 წელს დაიდო პირველი რუსულ-სპარსული ხელშეკრულება (ცალკე იყო კასპიის ზღვის დაყოფის შეთანხმება). მასში ჩაიდო ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც მხარეებს ავალდებულებდა, რომ არ მიეღოთ მონაწილეობა ისეთ შეთანხმებაში, რომელიც რომელიმე მხარისთვის საფრთხეს შეიცავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი იტოვებდა უფლებას, რომ ჯარი შეეყვანა ირანის ტერიტორიაზე (*სწორედ ეს პუნქტი გამოიყენა სტალინმა 1941 წელს ირანის ოკუპაციის გასამართლებლად, რადგან ქვეყნის იმდროინდელი მმართველი რეზა ხანი პროგერმანული ორიენტაციისა იყო, რაც ქმნიდა საფრთხეს, რომ ირანის ტერიტორიას ნაცისტური გერმანია გამოიყენებდა*).

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ირანის (1935 წლამდე სპარსეთი) ტერიტორია კვლავ რუსეთისა (საბჭოთა კავშირის) და დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის ქვეშ

აღმოჩნდა. ამას ირანის შაჰის - რეზა ხანის გადაყენება და საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ორი ახალი წარმონაქმნის - „აზერბაიჯანის დემოკრატიული“ და „მეჰაბადის“ (ქურთული) რესპუბლიკების - შექმნა მოჰყვა.

დიდხანს არც ამ ორ რესპუბლიკას უარსებია - საბჭოთა ჯარების ირანიდან გაყვანის შემდეგ (1946 წ.) ახალგაზრდა შაჰმა მუხამედ რეზა ფეხლევიმ მალევე აღმოფხვრა იქ არსებული სეპარატიზმის კერები.

(ირანის მოკავშირეთა მიერ ოკუპირებული ტერიტორია მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკული „ლენდ-ლიზის“ პროგრამით, საბჭოთა კავშირის მოსამარაგებლად გამოიყენეს. ამერიკული დახმარება სპარსეთის ყურიდან ირანის ტერიტორიისა და „საქართველოს სამხედრო გზის“ გავლით მიეწოდებოდა საბჭოთა კავშირს).

საბჭოთა ოკუპაციის დროს ციხეებიდან გამოვიდნენ სპარსელი კომუნისტები (მათ შორის ბევრი ირანის აზერბაიჯანული პროვინციებიდან იყო), რომლებმაც მალე დააარსეს ახალი მარქსისტული პარტია „თუდე“. ამ პარტიამ ირანის თანამედროვე ისტორიაში თავის კვალი დატოვა, რაც ცალკე ისტორიაა...

თუმცა, გეოგრაფიული ტერმინოლოგიით, აღმოსავლეთ ირანის აზერბაიჯანულ (ისტორიული ადარბადაგანი) რეგიონებში ეთნიკურად არასპარსელი, თურქულენოვანი მოსახლეობის მეხსიერებაში, თუნდაც ხანმოკლე ისტორიის მქონე, „დემოკრატიული აზერბაიჯანის“ რესპუბლიკა მაინც პრეცედენტად დარჩა, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანსა და მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის პოლიტიკური დამაბულობის ფონი შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ირანი ახლო აღმოსავლეთში პროამერიკულ პოლიტიკას ატარებდა და „სენტოს“ სამხედრო ბლოკის წევრი იყო, ირანის ბოლო შაჰის - მუჰამედ რეზა ფეხლევის დროინდელი ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობები შეიძლება დახასიათდეს, როგორც არაერთგვაროვანი, მაგრამ მაინც პრაგმატული. საბჭოთა სპეციალისტები მონაწილეობდნენ ირანში მრავალი სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში, ირანიდან მარაგდებოდა გაზით ამიერკავკასიის რესპუბლიკები.

1979 წლის ირანის ანტიშაჰური, შემდგომში „ისლამური“ რევოლუციის სახელით ცნობილი მოვლენების შედეგად, ძირეულად შეიცვალა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები.

იმამ ხომეინის ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში მოსული კლერიკალური რეჟიმის მთავარი რევოლუციური ლოზუნგი იყო: „არა დასავლეთი, არა აღმოსავლეთი, არამედ - ისლამური რესპუბლიკა!“ ირანელები ამერიკას „დიდი შაითანს“, საბჭოთა კავშირს „პატარა შაითანს“, მათ საელჩოებს კი „ჯაშუშთა ბუდეებს“ უწოდებდნენ.

ამერიკაში გახიზნული შაჰის დაბრუნების მოთხოვნით თეირანში მიმდინარე მღელვარებას მალე მოჰყვა „იმამ ხომეინის ხაზის მომხრე სტუდენტების“ აშშ-ის საელჩოზე თავდასხმა და ამერიკელ დიპლომატთა მძევლებად აყვანა, რამაც უკიდურესად დაძაბა ირან-ამერიკის ურთიერთობები და ერთ დროს მეგობარ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა გამოიწვია. მაშინ ბრბომ საბჭოთა კავშირის საელჩოზეც სცადაცმეტევა, რაც მოქმედმა რეჟიმმა აღარ დაუშვა.

საბჭოთა კავშირი, თავისი მხრივ, მიესალმა ირანი-ამერიკის ურთიერთობების გაწყვეტას და ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ახლი ურთიერთობების დამყარებას შეუდგა. ახლადშექმნილი ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველი ნაბიჯი კი იყო რუსეთ-სპარსეთის 1921 წლის ხელშეკრულების იმ მუხლების დეზავუირება, რომლებიც რუსეთს აძლევდა უფლებას, სავარაუდო სამხედრო საფრთხის შემთხვევაში, ქვეყანაში ჯარები შეეყვანა. ურთიერთობები სერიოზულად დაიძაბა 1979 წლის დეკემბერში - ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ. ირანი არ ცნობდა ავღანეთის ახალ პროსაბჭოთა ხელისუფლებას და თავის ტერიტორიაზე ავღანელი მოჯაჰედებისათვის საწვრთნელ ბანაკებს ქმნიდა.

ერაყ-ირანის ომის დროს (1980-1988 წწ.) საბჭოთა კავშირი ერაყს ამარაგებდა იარაღით, მათ შორის, რაკეტებით, რომლებიც სპარსეთის ყურიდან თეირანსაც კი სწვდებოდა. ირანი, რომელიც მარტო, მოკავშირეების გარეშე ომობდა სადამ ჰუსეინის ერაყთან, სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამის გამო. იყო საბჭოთა საელჩოსა და საკონსულოებზე ზეწოლის შემთხვევებიც.

წინა საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ირანს სამხრეთ კავკასიაში სამი ახალი პოლიტიკური სუბიექტი და მეზობელი გაუჩნდა, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკებს სახით.

რუსეთისაგან განსხვავებით, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე სამხედრო ბაზას ფლობდა, რითაც გავლენებსაც იწარჩუნებდა და ხელს უწყობდა სეპარატისტულ განწყობებს საქართველოსა და აზერბაიჯანში, ირანი დაინტერესებული იყო რეგიონში სტაბილურობით. თავისი ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, მან დაიწყო სამ ახალ სახელმწიფოსთან ურთიერთობების დალაგება. ეს ურთიერთობები განსხვავებული იყო, კერძოდ:

- აზერბაიჯანთან - კონკურენტული და კასპიის ნავთობისა და გაზის საბადოების კუთვნილებისა და თურქულენოვან რეგიონებში სეპარატიზმის საფრთხის გამო - დაძაბული
- სომხეთთან - ხაზგასმით კეთილმეზობლური (რაც გამოჩნდა ყარაბაღის პირველი ომის დროს)
- საქართველოსთან - კეთილგანწყობილი

ერაყთან ხანგრძლივი ომიდან ახლადგამოსული და, ფაქტობრივად, კვლავ იზოლაციაში მყოფი ირანის ისლამური რესპუბლიკის მიზანი იყო გამოეყენებინა სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიები ირანული ბუნებრივი აირის ახალი გაზსადენების ქსელით ევროპისათვის მისაწოდებლად, საქართველოს საპორტო ქალაქები - ირანული ტვირთების ტრანზიტისათვის. *ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რანგში ედუარდ შევარდნაძე თავის პირველი ოფიციალური ვიზიტით 1993 წელს, პრეზიდენტ რაფსანჯანის მიწვევით, სწორედ ირანის ისლამურ რესპუბლიკას ესტუმრა.*

რა თქმა უნდა, აქ ირან-რუსეთის ურთიერთობები გადაიკვეთა - რუსეთმა შეიძინა ირან-სომხეთის მშენებარე გაზსადენის სომხური ნაწილი, რითაც შეზღუდა ირანული გაზის ევროპისათვის მიწოდების პერსპექტივა. ამის შედეგი უნდა იყოს, რომ 2006 წლის იანვარში (იმ ზამთარს ტემპერატურა თბილისში -15 (!) გრადუსი იყო), რუსეთის მიერ ხელოვნურად გამოწვეული ენერგეტიკული კრიზისის დროს, ირანმა აზერბაიჯანის გავლით ბუნებრივი გაზი მოკლე ვადებში მიაწოდა საქართველოს. ეს, რა თქმა უნდა, ირანის იმდროინდელი ხელმძღვანელობის არა კომერციული, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ირანმა დროული, მოზომილი განცხადება გააკეთა კონფლიქტის შესახებ და ჰუმანიტარული დახმარება გააგზავნა გორში. ცეცხლის შეწყვეტიდან ორიოდე კვირაში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩარ მოთაქი ეწვია თბილისს.

(რუსულენოვან, პროირანულ გამოცემებში გაიჟღერა მოსაზრებებმა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ირანი აღიარებდა სამხრეთ ოსეთს, შეიქმნებოდა შესაფერისი პირობები რუსულ-ირანული სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის. ეს შესაძლებელს გახდიდა რუსული სამხედრო ბაზები განეთავსებინათ ირანის აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში, სამხრეთ კავკასიის უკეთ გასაკონტროლებლად!)

იმ დროისათვის ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო შექმნილმა საერთაშორისო აჟიოტაჟმა პიკს მიაღწია. რუსეთი, ტრადიციულად, ორმაგ თამაშს თამაშობდა. ერთი მხრივ, თავის თავზე აიღო დასავლური კომპანიების მიერ ჯერ კიდევ შაჰის დროს დაწყებული და რევოლუციის შემდეგ მიტოვებულ ბუშეჰრის ატომურ ელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრება. ეს გარკვეული ტექნოლოგიების ირანისათვის მიწოდებასაც გულისხმობდა. ხოლო, მეორე მხრივ, ბირთვული პროგრამის გაუმჭვირვალობის საბაბით, გაეროში მხარს უჭერდა ირანის მიმართ სანქციების შემოღებას.

საბოლოოდ, საკმაოდ გაჭიანურებული მშენებლობა 2010 წელს დასრულდა. ირანი გახდა ბირთვული ტექნოლოგიების მქონე ქვეყანა! *კონტრაქტით, რუსეთი ვალდებულია ბუშეჰრის ატომური სადგურის გამომუშავებული ურანის ნარჩენები უკანვე, რუსეთში, გაიტანოს.*

2011 წლიდან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა, კერძოდ, ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნამ და სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა **ირანისა და რუსეთის** ინტერესები ერთმანეთს დაუმთხვია - ორივე სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანი სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის ალავიტური რეჟიმის შენარჩუნება იყო, რითაც ისინი რეგიონში ამერიკისა და ისრაელის ინტერესებს დაუპირისპირდნენ. *მოგვიანებით, სირიის პრობლემის საბოლოო პოლიტიკურად მოგვარების მიზნით, ირანმა და რუსეთმა, თურქეთთან ერთად, თანამშრომლობის ე.წ. „ასტანის ფორმატი“ შეიმუშავეს.*

2015 წელს დადებული ირანის ბირთვული შეთანხმებიდან (Joint Comprehensive Plan of Action) ამერიკის შეერთებული შტატების გასვლამ (2018) და ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესებამ ახალი ბიძგი მისცა ირანის თანამშრომლობას ყირიმის ანექსიის გამოც სანქცირებულ რუსეთთან.

ახალ ეტაპზე გადავიდა რუსეთ-ირანის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა - გარდა ტრადიციული შეიარაღებისა, ირანმა რუსეთისაგან შეიძინა CC 300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ჩამოყალიბდა სირიაში მათი სამხედრო მოქმედებების კოორდინირების მექანიზმები. რუსეთმა კასპიის ფლოტილიიდან დემონსტრაციულად, ირანის საჰაერო სივრცის გამოყენებით, სარაკეტო დარტყმა მიაყენა სირიის ოპოზიციურ ძალებს. ირანულ სამხედრო-საჰაერო ბაზა „ჰამადანაზე“ რუსებმა რამდენჯერმე დასვეს თავიანთი ბომბდამშენები, სამომავლოდ სირიის ტერიტორიის დასაბომბად.

ამან სერიოზული დეზატები გამოიწვია ირანის მეჯლისში, რადგან ირანის კონსტიტუციით დაუშვებელია უცხო ქვეყნების მიერ სამხედრო მიზნებით ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება.

სულ ცოტა ხნის წინ ომანის ზღვის ჩრდილოეთ აკვატორიაში და ინდოეთის ოკეანეში **რუსეთმა, ირანმა** და ჩინეთმა ჩაატარეს პირველი ერთობლივი საზღვაო-სამხედრო მანევრები.

ბოლო დროს რუსეთმა დაიწყო რეგიონულ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ალიანსებში (შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევრაზესი) ირანის გაწევრიანების საკითხების ლობირება. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ირანი უკვე რამდენიმე წელია დამკვირვებლის სტატუსით თანამშრომლობს. ცალკე საკითხია

ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმატში ქვეყნის სრულფასოვანი ჩართვა.

ირანის მეჯლისის სპიკერმა მუხამედ ყალიბაფმა ა. წ. მარტში, მოსკოვში თავისი პირველი ვიზიტის შემდეგ განაცხადა, რომ ირანი განიხილავს „ევრაზესში“ წევრი ქვეყნის სტატუსით შესვლის შესაძლებლობას. *არცთუ დიდი ავტორიტეტის მქონე ამ ალიანსთან ირანს თავისუფალი სავაჭრო ზონა აქვს ჩამოყალიბებული.*

გარდა ამისა, ირანში ამუშავდა ე.წ. რუსული „რბილი ძალა“ - გაძლიერდა რუსული კულტურისა და ლიტერატურის პროპაგანდა, მაუწყებლობა დაიწყო რუსულენოვანმა სატელევიზიო და ინტერნეტრესურსებმა. ქვეყნის სულიერმა ლიდერმა ალი ხამენეიმ ახსენა სკოლებში მეორე ენად რუსულის სწავლების შემოღების საკითხი...

რუსეთ-ირანის სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის ფორმების ძიებად შეიძლება მივიჩნიოთ „ახალი“ ალიანსების შექმნის ბოლოდროინდელი, თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის მიერ ინიცირებული ე.წ. „ექვსეულის პლატფორმის“ ჩამოყალიბების მცდელობა.

საქმე ისაა, რომ რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის დაახლოებით ასეთივე ფორმატის შექმნის იდეით თბილისს ჯერ კიდევ 2001 წელს ეწვია ირანის ისლამური რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს იმდროინდელი მდივანი, დღეს ირანის მოქმედი პრეზიდენტი ჰასან რუჰანი. სწორედ მაშინ გაიჟღერა ჩვენთან პირველად 3+3 ფორმატში რეგიონული თანამშრომლობის ირანულმა ინიციატივამ. ალბათ, ჩაფიქრებული იყო უკვე ჩამოყალიბებული ორი ერთმანეთის კონკურენტი გეოპოლიტიკური სამკუთხედის - ანკარა, თბილისი, ბაქოსა და მოსკოვი, თეირანი, ერევნის ინტერესების გადაკვეთის ერთგვარი მოგვარება.

საქართველოსთვის, რომელსაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საერთაშორისო თანამეგობრობისა და მეგობარი ქვეყნების (ასეთი მექანიზმი არსებობდა გაეროში „საქართველოს მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფის სახით) ძალისხმევის არცთუ კეთილგანწყობილი მეზობელი ქვეყნებით ჩანაცვლება და განსაკუთრებით, კონფლიქტების უშუალო ინიციატორ რუსეთთან ერთად რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში რაიმე ფორმით თანამშრომლობა მიუღებელი იყო.

ორიოდე წლის წინ უკვე თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა გააჟღერა რეგიონული თანამშრომლობის დაახლოებით ასეთივე მექანიზმის შექმნის ინიციატივა (აქ ირანი საერთოდ არცკი იყო ნახსენები), რასაც უკვე „თურქული პლატფორმა“ უწოდა.

ყარაბაღის 2020 წლის ომის შედეგად შექმნილი პოლიტიკური კონფიგურაცია ერდოღანმა კარგად გამოიყენა თავისი პოზიციების გასამყარებლად სამხრეთ

კავკასიაში. რუსეთიც „დროულად“ ჩაერია კრიზისში და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ თავისი სამხედრო კონტინგენტი განათავსა ლაჩინის დერეფანში და კუხოს (კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია) წევრი სომხეთის ხელისუფლება აიძულა შეჰგუებოდა აზერბაიჯანის მიერ მოგებული ომის შედეგად მიღებულ ახალ „სტატუს-კვოს“.

ყარაბაღის ომის შედეგად გამოჩნდა ახალი ეკონომიკური დერეფნების შექმნის ბუნდოვანი პერსპექტივები. მოქმედი ამერიკული სანქციების ფონზე, ირანი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული, როგორმე გაარღვიოს ეკონომიკური ბლოკადა, თუნდაც თურქეთსა და რუსეთთან თანამშრომლობით, რომლებსაც „ასტანის ფორმატში“ თავიანთი პარტნიორისთვის არც არაფერი უკითხავთ ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტისას. მოსკოვის ერთ-ერთი აშკარა მიზანი, გაიხსნას სამხრეთით ახალი სატრანზიტო მარშრუტები, უდავოდ არის ირანის ინტერესებშიც - ამ მიმართულებით **ირან-რუსეთის** პოზიციები ისევ ერთმანეთს ემთხვევა.

თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის ახალ, „ექვსეულის პლატფორმის“ ინიციატივაზე პოზიციების მოსასინჯად თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოაგზავნეს. ხაზგასასმელია, რომ ბატონი ზარიფი თბილისში **მოსკოვიდან** ლავროვთან მოლაპარაკებების შემდეგ ჩამოვიდა. მისი ვოიაჟის ბოლო ადგილი კი ანკარა იყო.

რუსეთთან ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების არქონის პირობებში, „ექვსეულის პლატფორმის“ ფორმატში ჩვენი ქვეყნის ჩართვის უპერსპექტივობა, სავარაუდოდ, ირანელებისათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოს ადრე არაერთხელ და მკაფიოდ აქვს გამოთქმული საკუთარი პოზიცია.

2021 წლის ივნისში ირანში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატიული ფრთის მიერ მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ექვს არ იწვევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში კონსერვატორული ფრთის კანდიდატი გაიმარჯვებს.

სამხრე კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული ახალი გეოპოლიტიკური რეალობისა და იქ **რუსეთ-ირანის** ინტერესების დამთხვევის გამო ირანის მომავალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა რუსეთისათვის დიდ გამოწვევას არ უნდა წარმოადგენდეს. საქართველოსთვის კი რუსეთ-ირანის ერთობლივი ძალისხმევის მოსალოდნელ კოორდინაციას სამხრე კავკასიაში სერიოზული ანალიზი დასჭირდება.